საზოგადოებრივი აზრი

აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტის (NDI) 2017 წლის მარტის კვლევა

4 აპრილს აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) გამოაქვეყნა 2017 წლის გამოკითხვა 22 თებერვლიდან 8 მარტის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგები.

IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 27% არასდროს არ მისცემს ხმას „ქართულ ოცნებას“, ხოლო 25% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მათ მოსდევთ ნინო ბურჯანაძის „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა“ და პოლიტიკურ გართიანება „გირჩი“ 8-8%-ით.

ასევე, გამოკითხულთა 7-7% „ევროპულ საქართველოს“ და „პატრიოტთა ალიანსს“ არ დაუჭერს მხარს არასდროს, ლეიბორისტებს კი - 6%. აღნიშნულ კითხვაზე, გამოკითხულთა 25%-ს პასუხი არ აქვს ან არ იცის.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს მხარს უჭერს.

IRI-ის კვლევის თანახმად, გამოკითხულების 64 პროცენტი სრულად უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას, ხოლო ნაწილობრივ - 26 პროცენტი.

ამავე კვლევის თანახმად NATO-ში გაწევრიანებას სრულად უჭერს მხარს გამოკითხულთა 56 პროცენტი, ხოლო ნაწილობრივ - 26 პროცენტი.

IRI-ის განცხადებით, ორგანიზაციის კვლევაში გამოვლინდა მნიშვნელოვანი უნდობლობა რუსეთის მიმართ, თუმცა ამავე დროს ფიქსირდება რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნების სურვილი. რესპონდენტების 73 პროცენტი რუსეთს პოლიტიკურ საფრთხედ მოიაზრებს, ხოლო 57 პროცენტი - ეკონომიკურ საფრთხედ.

IRI-ის კვლევის თანახმად გამოკითხულთა უმრავლესობა (76 პროცენტი) საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობას რუსეთთან უარყოფითად აფასებს, თუმცა ჯამურად 82 პროცენტი მხარს უჭერს

დიალოგის გაგრძელებას (53 პროცენტი სრულად და 29 ნაწილობრივ).

გამოკითხული რესპონდენტების თითქმის ნახევარი - 47 პროცენტი უმუშევრობას ასახელებს მთავარ პრობლემად, რომელიც საქართველოს წინაშე დგას.

კვლევის თანახმად, ჯამურად, 70 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, (34 პროცენტი ფიქრობს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეულწილად გაუარესდა, ხოლო 36 პროცენტი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვნად გაუარესდა).

IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა რუსულ „გაზპრომთან“ გაფორმებულ ახალ ხელშეკრულებას ნეგატიურად აფასებს. კითხვაზე: „როგორ შეაფასებდით „გაზპრომთან“ ხელშეკრულების შეცვლას? - უარყოფითი პასუხი გამოკითხულთა 58%-მა გასცა. ახალ ხელშეკრულებას პოზიტიურად აფასებს გამოკითხულთა 11%. მათმა 16%-მა განაცხადა, რომ „არც პოზიტიურად და არც ნეგატიურად“ აფასებს შეთანხმებას, ხოლო 15%-ს შეკითხვაზე პასუხი არ აქვს.

IRI-ის კვლევის თანახმად, ქართველი ინტერნეტმომხმარებელი ინფორმაციის მისაღებად ყველაზე ხშირად ambebi.ge-ს, Facebook-სა და News.ge-ს სტუმრობს. კითხვაზე - რომელ ინტერნეტ საიტს სტუმრობთ ყველაზე ხშირად ინფორმაციის მისაღებად, გამოკითხულთა 19%-ი ambebi.ge-ს ასახელებს.

მეორე ადგილს იკავებს Facebook-ი 18%-ით, ხოლო მესამე ადგილზეა News.ge 7%-ით. მეოთხე ადგილს interpressnews.ge იკავებს 4%-ით, ხოლო მას presa.ge მოსდევს 2%-ით.

IRI-ის კვლევის საველე სამუშაოები 2017 წლის 22 თებერვლიდან 8 მარტის ჩათვლით პერიოდში ჩატარდა და მის ფარგლებში 1 501 მოქალაქე გამოიკითხა. კვლევის საშუალო ცდომილება 2,5%-ია.